რატომ უნდა ბენდუქიძეს საქართველოს ქცევა დიდ სავალუტო ჯიხურად

ჟურნალი “თბილისელები” – 1-7 ივნისი, № 22, 2009

თითქოს გლობალური ეკონომიკური კრიზისი და შიდა არეულობა არ ეყოფოდა ამ ჩვენს არასტაბილურ ყოფას, რომ აქტიური სამთავრობო პოლიტიკიდან წასული (მაგრამ, როგორც ჩანს, მაინც არწასული) ბ-ნი ბენდუქიძის ახალ ინიციატივა დაგვატყდა თავს, რომლის მიზანიც, არც მეტი, არც ნაკლები, ჩვენი დაგლეჯილი სახელმწიფოს ერთ-ერთი ატრიბუტის – ეროვნული ვალუტის – პირისაგან მიწისა აღგვაა. ამის პარალელურად, ეროვნულმა ბანკმა უარი თქვა ლარის კურსის გაკონტროლებაზე, რამაც მოსახლეობა კიდევ უფრო შეაშფოთა, რაკი, მწარე გამოცდილებით, რეფორმებისა და ფსევდო-ლიბერალური ინიციატივების მტკივნეულობა არაერთხელ გამოუცდია. მიუხედავად იმისა, რომ ქართული ეკონომიკის მამებმა ლარის საქართველოდან გაგდება თითქოს გადაიფიქრეს, ჩნდება ეჭვი, რომ ამ ინიციატივის გახმაურებით, საზოგადოების რეაქციას კბილი მოუსინჯეს (ანუ ეს პირველი ეტაპია), ამიტომაც ეკონომიკის ექსპერტთან, ლადო პაპავასთან, ერთად შევეცდებით იმის გარკვევას, რა სიურპრიზებს უნდა ველოდეთ სამთავრობო, მოქმედი თუ ჩრდილში გადანაცვლებული ინიციატივიანი, წევრებისგან და როგორ აისახება ეს ყოველივე ამ ჩვენს არცთუ დალხენილ ყოფაზე.

– რას ერჩიან ლარს?

– რადგან ვრცელი კონტექსტიდან უფრო ადვილია პასუხის გაცემა, თქვენს კითხვას: რას ერჩიან ლარს? გავაფრთოებ და ვიტყვი: რას ერჩიან ქართულ სახელმწიფოს? იმიტომ რომ ქართული სახელმწიფოს ნგრევა, სამწუხაროდ, ტრადიციად იქცა და ეს ხდება ყველა სფეროში. თუმცა ყველაზე ნაკლებად, ალბათ, ეს ქართულ პოლიციას შეეხო. ქართულ ლარს იმას ერჩიან, არ უნდათ,

რომ საქართველო იყოს ფეხებზე მდგარი სახელმწიფო, სიტყვა „ძლიერი“განზრახ არ ვთქვი, რადგანაც მრჩება შტაბეჭდილება, რომ ხელისუფლება შეგნებით ასუსტებს ქართულ სახელმწიფოს. ლართან ბრძოლა უფრო ადრე დაიწყო, მაშინ, როდესაც ბრძოლა გამოუცხადეს ეროვნულ ბანკს იმ მიზნით, რომ ეროვნული ბანკი, როგორც ინსტიტუტი, დასუსტებულიყო და, სამწუხაროდ, ამ მიზანს მიაღწიეს კიდეც.

– 28 წლის ახალგაზრდა დაინიშნა ეროვნული ბანკის პრეზიდენტად. ეს ასაკი, ალბათ, უკვე თავისთავად იყო იმის მანიშნებელი, რომ საქმე ჭაკად წავიდოდა.

– ვიდრე გიორგი ქადაგიძე დაინიშნებოდა ეროვნული ბანკის პრეზიდენტად, მოხდა ის, რომ ეროვნული ბანკი ორად გაიხლიჩა და საბანკო ზედამხედველობა გადავიდა ცალკე სამსახურში, რომელიც ფორმალურად თითქოს ექვემდებარება ეროვნულ ბანკს, მაგრამ დამოუკიდებელი სტრუქტურაა; ამის შემდეგ თექვსმეტი თვის განმავლობაში ეროვნულ ბანკს არ ჰყავდა პრეზიდენტი და მის მოვალეობას ასრულებდა ადმიანი, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ კარგი ეკონომისტია, პიროვნული თვისებებით არის “ჩვარი”, სამწუხაროდ, უკეთეს სიტყვას ვერ მოვუძებნი; რასაც უნდა, იმას აკეთებინებდნენ და სწორედ მის კისერზეა 2008 წლის 7 ნოემბრის „მწვანე პარასკევი“, 15-პროცენტით ნახტომისებურად ლარის კურსის დაგდება. ასე რომ, თანმიმდევრულად მზადდებოდა ლარის დასუსტება, ახლა კი გაჩნდა ინიციატივა, რომ ლარი, როგორც ვალუტა, უნდა გაუქმდეს. იდეა, რომ ქვეყანას არ უნდა ჰქონოდა თავისი ვალუტა, ბენდუქიძემ ჯერ კიდევ 2004 წელს გამოთქვა, როდესაც ჩამოიყვანეს და დანიშნეს ეკონომიკური განვითარების მინისტრად. მაშინ ბენდუქიძის რევოლუციური იდეების შესახებ ვრცელი ანალიტიკური სტატია დაიბეჭდა ძალიან ცნობილ ინგლისურ ჟურნალ „ეკონომისტში“. ერთ-ერთი იდეა იყო, რომ საქართველოს არ უნდა ჰქონდეს თავისი ვალუტა. ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, რომ მდიდარი ხალხისთვის პრობლემას არ წარმოადგენს, რომ, თუნდაც, ავტორიტეტულ გაზეთში დაიბეჭდოს „ყვითელი“ წერილი.

– რას ემსახურებოდა ბენდუქიძის მიერ „ეკონომისტის“ მოთაფვლა? ქართველი მოსახლეობა ნაკლებად კითხულობს, მით უმეტეს, მაშინ კითხულობდა „ეკონომისტს“?

– იმ სტატიაში მისი სხვა რევოლუციური იდეებიც იყო განხილული, მე მხოლოდ ეროვნულ ვალუტაზე შევჩერდი, რადგან ეს არის ჩვენი საუბრის თემა. არ მახსოვს, რომ მაშინ ის სტატია ეთარგმნოთ, თუმცა მე, როგორც ეკონომისტმა, ეს განგაშის საფუძვლად მივიჩნიე, მაგრამ კარგა ხანს ამაზე ლაპარაკი აღარ განმეორებულა. 2007 წელს კი ჩამოყალიბდა ასეთი იდეა: საქართველოს არ უნდა ჰქონდეს ეროვნული ბანკი და მის ნაცვლად უნდა იყოს ეგრეთ წოდებული სავალუტო საბჭო, რაც ნიშნავდა, რომ ეროვნული ბანკი აღარ დაარეგულირებდა ვალუტის კურსს. დადგინდებოდა ფიქსირებული კურსი და ეროვნული ვალუტა გახდებოდა ფორმალური ვალუტა. არადა, როდესაც ფიქსირებული კურსი გაქვს, ეს ნიშნავს, რომ ნებისმიერი ქვეყნიდან შემოსულ ადამიანს შეუძლია, შეიძინოს ნებისმიერი რაოდენობის ვალუტა და გაიტანოს. შესაბამისად, თუ რომელიმე ქვეყანაში არის კრიზისი, ეს, ფაქტობრივად ნიშნავს, რომ იმ ქვეყნიდან კრიზისი შენთანაც გავრცელდება და ამის კლასიკური მაგალითია არგენტინა, რომელსაც ჰქონდა ფიქსირებული კურსი, მის არცთუ მეზობლად მყოფ მექსიკაში კი განვათარდა ფინანსური კრიზისი და ამ კრიზისმა დაანგრია არგენტინის ეკონომიკა, იმიტომ რომ იქიდან ვალუტა ფიქსირებული კურსით გადიოდა მექსიკაში. საბედნიეროდ, ეს მცდარი ინიციატივა ჩაშალა 2007 წლის 7-მა ნოემბერმა.

– როგორ ჩაშალა? არ იყო ამის დრო?

– სხვა პრობლემებმა გადაფარა: დაინიშნა საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები, თორემ ამას გააკეთებდნენ. საბოლოოდ, მივედით იქამდე, რომ გაჩნდა უცხოური ვალუტის, როგორც მთავარი ვალუტის, შემოტანის იდეა და ლარი უნდა იქცეს დამხმარე ვალუტად. მინდა გაგახსენოთ, რომ საქართველომ ეს ეტაპი უკვე გაიარა, როდესაც 1993 წელს ქვეყანაში შემოიღეს კუპონი და მასთან ერთად ნებადართულად ჩაითვალა რუბლის გამოყენებაც, ანუ ქვეყანას ერთდროულად ორი ვალუტა ჰქონდა: რუბლი იყო მთავარი, კუპონი – მეორეხარისხოვანი და, როგორც კი კუპონი გახდა მეორეხარისხოვანი, კუპონით

ვერაფერს ვერ იყიდდი, გარდა სახელმწიფო სექტორში გამომცხვარი პურისა, კუპონით ხდებოდა კომუნალური გადასახდელების გადახდა და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობა. ანუ საზოგადოებამ მაშინვე უარყო უფრო სუსტი ვალუტა და ქვეყანა დარჩა სრულიად დაუცველი. გახსოვთ, რამხელა ძალისხმევა დასჭირდა საქართველოს მთავრობას ფულის რეფორმის გასატარებლად, მხედველობაში მაქვს 1995 წელს ლარის შემოღება და ლარმა არა მხოლოდ კუპონი ჩაანაცვლა, არამედ – რუბლიც.

– ზოგადად რომ ვთქვათ, ქვეყანას, რომელსაც არ აქვს ეკონომიკა, ვითომ სჭირდება ეროვნული ვალუტა?

– თუ არის ფინანსური კრიზისი იმ სახელმწიფოში, რომელიც შენი მთავარი ეკონომიკური პარტნიორია, სრულად თავის დაღწევას ამ კრიზისისგან ვერ მოახერხებ, მაგრამ უარყოფითი ზეგავლენის შემცირება შეგიძლია. დღეს რა სიტუაცია გვაქვს? საგარეო სავაჭრო ბალანსი კატასტროფულად უარყოფითა: ვალუტა გვეკარგება იმპორტზე, რადგან იმპორტი ოთხჯერ აღემატება ექსპორტს და თუკი ადრე ამ დისბალანსს უცხოური ინვესტიციები და ფულადი გზავნილები ავსებდა, და ამ გზით შემოდიოდა ვალუტა, დღეს უცხოური ინვესტიციებიც შემცირდა და ფულადი გზავნილებიც; დღეს უცხოური ვალუტა შემოდის დონორების დახმარებით, რაც ქვეყანამ მიიღო, როგორც რუსული აგრესიისგან დაზარალებულმა სახელმწიფომ. წარმოიდგინეთ, რა სიტუაციაა: ვალუტის შემოსვლის ძირითადი წყაროა დონორთა დახმარება და ეს უნდა ვაქციოთ ფულად?! რა მოხდება ხვალ, როდესაც დონორთა დახმარება დამთავრდება?! ანუ ეს მცდარი იდეაა. ახლა ვნახოთ, როგორია უცხოური ვალუტის შემოდინების სტრუქტურა: შემოსული თანხის 70-პოცენტზე მეტი არის დოლარი, 25-პროცენტამდე – ევრო, დანარჩენი – სხვადასხვა ქვეყნის ვალუტა, ანუ დომინირებულია დოლარი, თუმცა ითქვა, რომ თითქოს ევროს უნდა შემოვიღეთ, რაც უბრალოდ შეუძლებლია, რადგან ამდენი ევრო ქვეყანაში არ შემოდის. მაგალითად მოჰყავთ ევროკავშირი, მაგრამ ევროკავშირის ერთიანი სავალუტო სივრცეში ევროკავშირის ყველა სახელმწიფო არ არის წარმოდგენილი: ზოგი იმიტომ, რომ თვითონ თქვა უარი, მაგალითად, დიდი ბრიტანეთი, და ზოგი იმიტომ, რომ ჯერ არ არის მზად, მაგალითად, აღმოსავლეთ ევროპის

სახელმწიფოები. კარგი რომ იყოს ევროს ცალმხრივად შემოღება, ლიტვა, ლატვია და ესტონეთი იტყოდნენ ამაზე უარს?!

– ვინც არის ევროსა და დოლარის პატრონი, მათი თანხმობა არ არის საჭირო, როდესაც მათ ვალუტას აქცევ შენს ეროვნულ ვალუტად? თუ საკმარისია ასეთი მიდგომა: ჩვენ გვინდა?

– ევროზონაში შესვლა ნიშნავს იმას, რომ ისინი გაძლევენ თანხმობას, თუმცა შენ ამ თანხმობის გარეშეც შეგიძლია ევროს შემოღება, იმიტომაც ვოქვი, ევროს ცალმხრივად შემოღება კარგი იდეა რომ იყოს, ლიტვა, ლატვია და ესტონეთი ამას გააკეთებდნენ. ცალმხრივად შემოღებული ვალუტა ისევე ვერ მოგიტანს ბედნიერებას, როგორც ცალმხრივი სიყვარული. თუმცა ამის მაგალითები მსოფლიოში არის და ჩვენთან უყვართ ზიმბაბვეს ან მონტეგენროს მაგალითის მოყვანა, მაგრამ ესენი არიან განუვითარებელი ქვეყნები. ჩვენ საით მივდივართ? ქვეყნის ზიმბაბვიზაცია გვინდა თუ ევროკავშირში შესვლა?!

– შესაძლოა, ჩვენ გვინდა, გავხდეთ ევროკავშირის ზიმბაბვე?

– ეს შეუძლებელია! საერთოდ, უცხო ქვეყნის ვალუტის შემოღებას მიმართავენ იმ ქვეყნებში, სადაც ეროვნულ ვალუტას ნდობა აქვს დაკარგული. 1993 წელს, როდესაც კუპონის მიმართ აბსოლუტური უნდობლობა იყო, ვახტანგ გოგუაძე, პარლამენტის სპიკერი, გამოვიდა ინიციატივით, რომ ჩვენ, ქართველებს, არ შეგვიძლია ჩვენი ეკონომიკის მართვა და, მოდი, ვთხოვოთ, მოსკოვს დაგვაბრუნოს რუბლის ზონაშიო; ანუ ესეც გავიარეთ. საბედნიეროდ ედუარდ შევარდნაძემ არ გაიზიარა გოგუაძის ეს პოზიცია. რეალურად ლარი ყოველთვის უფრო სტაბილური იყო, ვიდრე რუბლი. დღესაც, ნახეთ, როგორ დაზარალდა რუბლი და როგორ უძლებს ლარი, ესე იგი არცთუ ცუდი საქმე გაგვიკეთებია. აშკარაა, რომ ჩვენ არ გვაქვს ლარის გაგდების ეკონომიკური საფუძველი და ამ იდეის რეალიზაცია სხვა არაფერია, თუ არა ქართული ეკონომიკის საფუძვლების კიდევ ერთხელ შერყევა.

– არის არგუმენტი, რომ მაინც დოლარში იდება გარიგებებიო?

– მერე, რა?! ეს არა მხოლოდ საქართველოში ხდება. ესა ყველა იმ ქვეყანაში, რომელსაც არ აქვს საერთაშორისო დონეზე კონვენტირებადი ვალუტა. ეს ჩვეულებრივი ამბავია. ჩვენ ახლა ვსაუბრობთ იმაზე, რომ ქვეყანა უნდა

გადავიდეს მულტისავალუტო სისტემაზე, რაც გამოიწვევს აღრიცხვიანობის მოშლას და ქვეყანა მიმზდველი გახდება, უპირველსად, სავალუტო სპეკულაციური ოპერაციებისთვის: ქვეყანაში განვითარდება ის ბიზნესი, რასაც ჰქვია ფულის გადახურდავება.

– ანუ საქართველო გახდება ვალუტის გადასახურდავებელი დიდი ჯიხური?

– დიახ, ეს იდეა ემსახურება იმას, რომ საქართველო იყოს ერთი დიდი სავალუტო ჯიხური!

– ითქვა, რომ ეროვნული ბანკი აღარ მიიღებს მონაწილეობას ლარის კურსის შენარჩუნებაშიო, რას ნიშნავს ეს? რომელი ვალუტა უნდა დავაგროვოთ მუთაქაში?

– საქმე ის გახლავთ, რომ ეროვნული ბანკი ძალიან ჩაკეტილი სისტემა გახდა, დაემსგავსა ნახევრად გასამხედროებულ სტრუქტურას, რის გამოც ძალიან ბევრი ჭორი დაირხა. თეორიულად არაფერი ცუდი არ ხდება: სავალუტო რეგულირების ერთი რეჟიმიდან მეორეზე გადავდივართ. ეს არის ცნობილი „ბლუმბერგის სისტემა“, რომელიც მსოფლიოს ძალიან ბევრ ქვეყანაში გამოიყენება და ამ სისტემის სრულფასოვანი გამართვის შემთხვევაში არაფერი ცუდი არ ხდება. ეროვნული ბანკი არ აუქმებს სავალუტო ბირჟას, ის გადის სავალუტო ბირჟიდან და მონაწილეობას იღებს სავალუტო აუქციონზე. ანუ სავალუტო აუქციონი კვირაში სამჯერ ჩატარდება, სადაც ყველას შეეძლება მონაწილეობის მიღება და ვალუტის ყიდვა, ვალუტის ძირითადი გამყიდველი კი იქნება ეროვნული ბანკი, ხოლო აუქციონის დამთავრების შემდეგ ამ ბანკებს ბლუმბერგის სისტემით შეუძლიათ ერთმანეთთან გააგრძელონ ვაჭრობა. ანუ ეს უფრო სრულყოფილი მექანიზმია: პრაქტიკულად, ეს არის ვალუტით ვაჭრობის უწყვეტი სისტემაა.

– 2008 წლის 8 ნოემბრის „მწვანე პარასკევი“, როდესაც ლარი ნახტომისებურად გაუფასურდა, ეროვნულმა ბანკმა გაგვითენა. ამ ახალი სისტემით უკვე ჩვეულებრივ ბანკებსაც ხომ არ მიცემა ლარის კურსის ხტუნაობის საშუალება?

– ლარის კურსის რყევები, თუნდაც, ამ ახალი სისტემით ისევ ეროვნული ბანკის ქმედებებზეა დამოკიდებული.

– ანუ ეროვნულ ბანკს ისევ რჩება ბერკეტი, ახტუნაოს კურსი?

– ეროვნული ბანკი ისევ რჩება ბაზარზე მიმწოდებლად და, ამდენად, მას კვლავ აქვს საშუალება, არეგულიროს კურსი, სხვა საქმეა, ამას გამოიყენებს იმისთვის, რომ ლარის კურსის რყევები არ იყოს, თუ პირიქით, იმისთვის, რომ კურსმა იხტუნაოს.

– ირკვევა, რომ ჩვენ არაფერი სახიფათო არ გველის, პირიქით, ვალუტით ვაჭრობის სქემა უფრო დაიხვეწება, მაშინ რატომ მოსავს ამას ბურუსით ეროვნული ბანკი და არ გვიხნის გასაგებად?

– როგორც გითხარით, ეროვნული ბანკი დაემსგავსა ნახევრად გასამხედროებულ, ჩაკეტილ სისტემას და საზოგადოებას ჯეროვნად არ მიეწოდება ინფორმაცია. მეც დამებადა ეჭვი, მაგრამ, როდესაც გავერკვიე, ვნახე, რომ შინაარსობრივად ცუდი არაფერი ხდებოდა. მაგრამ ის, ვინც ამას აკეთებს, სრულყოფილ ინფორმაციას არ აწვდის საზოგადოებას, თორემ რა გაუჭირდათ, ჩაეტარებინათ ფართომასშტაბიანი პრესკონფერენციები და მარტივად მიეწოდებინათ ხალხისთვის ინფორმაცია?! იმედი მაქვს, გიორგი ქადაგიძეს ეყოფა პოლიტიკური ძალა, რომ ეროვნული ბანკი კიდევ უფრო არ დაასუსტოს და ლარზე უარი არ თქვას. ამაღლობელი, ვინც მოაწყო 2008 წლის 7 ნოემბრის „მწვანე პარასკევი“, ისევ ეროვნულ ბანკში რჩება, მის ადამიანურ თვისებებზე უკვე ვთქვი და აღარ გავიმეორებ, თუმცა როგორი კარგი ეკონომისტიც არის, იმის ნახევარი კაცი მაინც რომ იყოს...

– ჩვენს ვალუტას გამოადგებოდა?

– ქვეყანას გამოადგებოდა. რაც შეეხება ქადაგიძეს: მე მას ვიცნობ, ჩემი სტუდენტი იყო. საკმაოდ ძლიერი პიროვნებაა და გავლენაც აქვს, ამიტომ იმედი მაქვს, გონიერება ეყოფა და იმ ტოტს არ მოჭრის, რაზეც ზის.

– ეროვნულ ვალუტასთან მიმართებაში თითქოს სომხეთშიც მომხდარა ანალოგიური რამ?

– არ ვიცი, მაგრამ ის კი ვიცი, რომ სომხეთი თავისი ქვეყნის საწინააღმდეგოს არასდროს არაფერს გაკეთებს: ისინი არა მხოლოდ სიტყვით არიან თავინთი ქვეყნის პატრიოტები.

– ლარსის გახსნა ხომ არ უკავშირდება ლარის შერყევას? რუბლიც ხომ არ აპირებს საქართველოში დაბრუნებას?

– ლარსის გახსნა, ალბათ, სომხეთის თხოვნაა. მოგეხსენებათ, სომხეთში არის რუსეთის სამხედრო ბაზები, რომლებიც რუსეთს მოწყვეტილია. საჰაერო გზით შესაძლებელია სამხედრო მოსამსახურეების შეცვლა, მაგრამ როგორ უნდა შეცვალო სამხედრო ტექნიკა?! ამისთვის საჭიროა ლარსის გახსნა. არადა, ვის ვუხსნით გზას, ჩვენს ოკუპანტებს?!

– ასე გამოდის.

– მაშინ რატომ გავწყვიტეთ რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა?! მე, როგორც ეკონომისტი, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ენაბლუ ხელისუფლება ვერ მიხსნის რა ხდება ლართან მიმართებაში, მაინც გავერკვიე ამ საკითხში, მაგრამ ვერ ვხვდები, რატომ ხსნიან ლარსის გამშვებ პუნქტს?! „მაბოლებენ“, რომ, თურმე, ყაზბეგში მცხოვრებ ადამიანებს სჭირდებათ ლარსის გახსნა, რომ ეკონომიკურად ფეხზე დადგნენ, მაშინ რატომ გავწყვიტეთ რუსეთთან ურთიერთობა?! ასე რომ, ჩემთვის ლარსის გახსნა გაუგებარია, ეს არის დათმობა იმისთვის, რომ რუსეთის სამხედრო ბაზებს სომხეთში გაეხსნათ სასუნთქი არტერია. ლარსის გარეშე რუსებს მოუწევთ სამხედრო ტექნიკის თურქმენეთში გადასროლა, იქიდან – ირანში და ირანიდან – სომხეთში, ჩვენ კი ოკუპანტებს ყველაზე მოკლე გზას ვთავაზობთ, რომ გავაძლიეროთ და თავი ალყაში კარგად მოვიქციოთ. ეს ჩემთვის, როგორც მოქალაქისთვის, სრულიად გაუგებარია.

ნინო ხაჩიძე